

# საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება (ხელშეკრულების სტანდარტული პირობები)

## 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ამ ხელშეკრულებით ბანკი და კლიენტი თანხმდებიან კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებაში აღწერილი საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის წესსა და პირობებზე.
- 1.1.1 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ტერმინს - „მსესხებელი“ / „კლიენტი“ აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
- პირ(ები), რომლის მოთხოვნითაც გაიცემა საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი და რომელიც იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ძირითადი ხელშეკრულებით / ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით და/ან დამატებითი ხელშეკრულებით / შემადგენელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის გადაიხადოს/დააბრუნოს მიღებული კრედიტი მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით (ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებელი ან კლიენტი საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში და საბანკო გარანტიის წერილში შეიძლება განისაზღვროს როგორც პრინციპალი ან აპლიკანტი).
- 1.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი კლიენტს მოემსახურება შემდეგი საკრედიტო პროდუქტებით: საბანკო კრედიტით, საკრედიტო ხაზით, ოვერდრაფტით, საკრედიტო ლიმიტით, საბანკო გარანტიით, აკრედიტივით, ფაქტორინგით და სხვა საკრედიტო პროდუქტებით (შემდგომში „საკრედიტო პროდუქტი“).
- 1.2.1 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ტერმინს - „საკრედიტო ლიმიტი“ აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
- ბანკის მიერ მსესხებელზე გაცემული ფულადი სახსრები, რომელიც მსესხებელმა უნდა დაუბრუნოს ბანკს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით. ამასთან, მსესხებლის მიერ ოვერდრაფტით სარგებლობის მიზნებისთვის საკრედიტო ლიმიტი ან კრედიტი გულისხმობს, ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის მიერ მსესხებლის ანგარიშზე დაწესებულ/დაშვებულ სადებეტო ნაშთს, რომელიც მსესხებელს საშუალებას აძლევს, თავის ანგარიშზე დაწესებული სადებეტო ნაშთის (ოვერდრაფტის ლიმიტის) ფარგლებში ერთჯერადად ან მრავალჯერადად გამოიყენოს ანგარიშზე რიცხულ თანხაზე მეტი თანხა.

## 2. კლიენტის განცხადებები

- 2.1 კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ:
- 2.1.1 აქვს ამ და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება;
- 2.1.2 არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხეს უქმნის კლიენტის ვალდებულებების შესრულებას, კლიენტის ქონებას ან/და აქტივებს;
- 2.1.3 უარს არ იტყვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე არ გადასცემს თავის ვალდებულებებს მესამე პირს და არ იკისრებს ახალ ვალდებულებებს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ მსესხებელმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს ბანკის უფლებას, მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება და ამ მიზნებისთვის მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკმა მესამე პირს გადასცეს ინფორმაცია მსესხებლის მიმდინარე დავალიანების/გადასახდლების შესახებ;
- 2.1.4 ამ ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;
- 2.1.5 ბანკისთვის მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის სრული და უტყუარი;
- 2.1.6 მისთვის ცნობილია, რომ ბანკისათვის ყალბი ან/და არასწორი (სინამდვილესთან შეუსაბამო) ინფორმაციის/ცნობ(ებ)ის მიწოდება კრედიტის მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის ან/და შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი კრედიტის არადაწინააღმდეგობრივად გამოყენება არის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და წარმოადგენს საკმარის საფუძველს ამ ხელშეკრულების მოქმედების შესაწყვეტად;
- 2.1.7 დეტალურად იცნობს და მისთვის მისაღებია დაკრედიტების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტების) ყველა პირობა, რომელიც განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე;
- 2.1.8 ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ იკისრებს დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს (არ აიღებს ან გასცემს სესხებს, კრედიტებს და/ან არ ისარგებლებს სხვა ანალოგიური პროდუქტებით) და არ განახორციელებს (დაუშვებს) საკუთარი ქონების უფლებრივად დატვირთვას, როგორც თავისი, ისე სხვა პირის ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად, ასევე, არ დაუდგება თავებდად მესამე პირს.
- 2.2 კლიენტი იღებს ვალდებულებას:
- 2.2.1 სრულად აწარმოოს ანგარიშზე თავისი საბანკო ბრუნვების 100% (ასი პროცენტი), მათ შორის, სახელფასო პროგრამა, სხვა შემოსავლები და სავალუტო კონვერტაციები. ასევე, თავისი საქმიანობის ფარგლებში გამოიყენოს ბანკის გადახდის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს პოსტერმინალებს) საშუალებები;
- 2.2.2 დაიცვას კრედიტის (საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის) მიზნობრიობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## 3. საკრედიტო პროდუქტის მიღების წესი

- 3.1 ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი უფლებამოსილია, კლიენტს მოემსახუროს საკრედიტო პროდუქტებით ქვემოთ მოცემული წესებისა და პროცედურის დაცვით.
- 3.2 კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის მიღების სურვილს კლიენტი აფიქსირებს ბანკისთვის წერილობითი განაცხადის წარდგენით.
- 3.3 კლიენტის განაცხადის ანალიზის მიზნით ბანკმა შესაძლოა მოითხოვოს ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია კლიენტის შესახებ (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია საკრედიტო პროდუქტის მიზნობრიობის, კლიენტის საქმიანობის, კლიენტის პარტნიორებისა და სხვა დაკავშირებული პირების, ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის, უზრუნველყოფის ობიექტების შესახებ).
- 3.4 ბანკი უფლებამოსილია:
- 3.4.1 მიიღოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ მესამე პირებისგან კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე;
- 3.4.2 არ დააკმაყოფილოს კლიენტის განაცხადი საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ უარის მიზეზ(ებ)ის განმარტების გარეშე;
- 3.4.3 მსესხებლის ანგარიშზე დაუშვას დამატებითი საკრედიტო ლიმიტი და/ან არასანქცირებული ოვერდრაფტი (ამასთან, ყოველი ამგვარი დამატებითი კრედიტის და/ან არასანქცირებული ოვერდრაფტის ვადა, საპროცენტო განაკვეთის და პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით და/ან შესაბამისი შემადგენელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადას და ოდენობებს) და ამგვარი საკრედიტო ლიმიტიდან და/ან არასანქცირებული ოვერდრაფტიდან დაფაროს მსესხებლის მიერ ბანკისათვის გადასახდელი ნებისმიერი სახის გადასახდელი, იმ შემთხვევაში, თუკი მსესხებლის მიერ ბანკისათვის ნებისმიერი გადასახდელის (მათ შორის რეგრესული

მოთხოვნის ასანაზღაურებლად) გადახდის თარიღისათვის, მსესხებლის ანგარიშზე არ იქნება შესაბამისი/საკმარისი დადებითი ფულადი ნაშთი.

- 3.4.3.1 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ტერმინს - „არასანქცირებული ოვერდრაფტი“ აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
- მსესხებლის ანგარიშზე შესაბამისი დადებითი ნაშთის არ არსებობისას და/ან ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე ანგარიშზე სადებეტო ნაშთის ასახვა, რაც გამოწვეულია რეგრესული მოთხოვნის, ბანკის მიერ დაწესებული საკომისიოს და/ან ნებისმიერი სხვა გადასახდელის, მათ შორის, საპროცენტო სარგებლის დარიცხვის და/ან ბანკის ავტორიზაციის დადასტურების მიღების გარეშე შესრულებული ნებისმიერი საბანკო ოპერაციის/ტრანზაქციის შესრულებით. ამასთან, არასანქცირებული ოვერდრაფტია სადებეტო ნაშთი, რომელიც წარმოიქმნება ბანკის მიერ ოვერდრაფტის ლიმიტის ცალმხრივად შემცირებისას და წარმოადგენს სხვაობას ოვერდრაფტის ლიმიტსა და შემცირებულ ოვერდრაფტის ლიმიტს შორის.
- 3.5 კლიენტის განაცხადის ბანკის მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარეები ამ ხელშეკრულების (შემდგომში „ძირითადი ხელშეკრულების“/„ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“) ფარგლებში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას (შემდგომში „დამატებით ხელშეკრულებას“/„შემადგენელ ხელშეკრულებას“), რომელიც იქნება ამ ხელშეკრულების (ძირითადი ხელშეკრულების / ხელშეკრულების სტანდარტული პირობების) განუყოფელი ნაწილი, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს განცხადებას შესაბამისი საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ და რომელშიც აისახება კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ინდივიდუალური პირობები და მხარეთა დამატებითი უფლება-მოვალეობები.
- 3.6 კლიენტი და ბანკი აცხადებენ, რომ:
- 3.6.1 ეს ხელშეკრულება არის მხარეთა შორის გაფორმებული წინასწარი შეთანხმება საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებით;
- 3.6.2 ამ ხელშეკრულებას აქვს მის 1.1 პუნქტში აღწერილი ფუნქცია და ის არ იქნება განხილული, როგორც რომელიმე საკრედიტო პროდუქტით მომსახურების შეპირება ბანკის მიერ;
- 3.6.3 დამატებითი ხელშეკრულებით / შემადგენელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თითოეული ტრანში განხილება განცალკევებულ საბანკო კრედიტად (სესხად);
- 3.6.4 ამ და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ბანკს წარმოეშობა მხოლოდ უფლება (და ის არ არის ვალდებული) გასცეს კრედიტი ან მოემსახუროს კლიენტს რომელიმე საკრედიტო პროდუქტით;
- 3.6.5 თითოეული ტრანშის (კრედიტის) გასაცემად საჭიროა შესაბამისი წინაპირობ(ებ)ის შესრულება (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში) და მხარეთა ან/და მათ წარმომადგენელთა დამატებითი, სულ მცირე, ზეპირი შეთანხმება.
- 3.7 ამ ხელშეკრულების 3.6 პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, ბანკს უფლება აქვს, არ გასცეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშ(ებ) ან შეწყვიტოს ტრანშ(ებ)ის გაცემა საკუთარი შეხედულებისამებრ კლიენტისთვის მიზეზის განმარტების გარეშე.
- 3.8 ბანკს უფლება აქვს კლიენტისთვის შეტყობინების გაზავნით განახორციელოს საკრედიტო პროდუქტის კონვერტაცია სხვა ვალუტაში შესაბამისი საკრედიტო პროდუქტის გაცემიდან 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს.
- 3.9 ამ ხელშეკრულების 3.8 პუნქტით ბანკისთვის მინიჭებული უფლების განხორციელების შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ბანკის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) საბანკო დღისა უზრუნველყოს:
- 3.9.1 სადაზღვევო პრემიის, საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხის დასაფარავი ნაწილის სრულად დაფარვა და საკომისიოებთან დაკავშირებული დავალიანების, დარიცხული საპროცენტო სარგებლისა და პირგასამტეხლოს გადახდა;
- 3.9.2 საკრედიტო პროდუქტის კონვერტაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა (ბანკის მიერ შეთავაზებული ფორმით) და ბანკისთვის გადაცემა.
- 3.10 კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების 3.9.1 ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში იმავე ქვეპუნქტის საფუძველზე კლიენტის მიერ გადასახდელი თანხა ჩაითვლება ვადაგადაცილებულ დავალიანებად, რომელსაც დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის.
- 3.11 კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების 3.9.2 ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში შეთანხმება საკრედიტო პროდუქტის კონვერტაციის შესახებ ჩაითვლება დადებულად.
- 3.12 კრედიტის რამდენიმე მსესხებელზე გაცემის შემთხვევაში, კრედიტის თანხა, ბანკის შერჩევით, ჩაირიცხება ერთ-ერთი მსესხებლის ანგარიშზე. ამ წესით გაცემული კრედიტი ჩაითვლება ყველა მსესხებლის მიერ მიღებულად და ისინი წარმოადგენენ ბანკის წინაშე სოლიდარულ მოვალეებს, ამასთან სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, მათზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებები. ერთ-ერთი მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევა მიჩნეულ იქნება ყველა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევად და შესაბამისად, ყველა მსესხებელზე სოლიდარულად გავრცელდება ამგვარი დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა.

#### 4 საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის წინაპირობები და დამატებითი პირობები

- 4.1 ბანკს უფლება აქვს:
- 4.1.1 ცალკეული საკრედიტო პროდუქტის გაცემამდე კლიენტს განუსაზღვროს წინაპირობა საკრედიტო პროდუქტის გაცემისთვის და მოთხოვოს ამ წინაპირობის შესრულება;
- 4.1.2 საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების დაწყების შემდეგ კლიენტს წაუყენოს დამატებითი პირობები საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობისთვის (დამატებითი პირობები და მათი შესრულების ვადები განისაზღვრება დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და მათი დანართებით);
- 4.1.3 საკრედიტო პროდუქტის გაცემის შემდეგ კლიენტს წაუყენოს დამატებითი მოთხოვნა და ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში დააკმაყოფილოს ბანკის მიერ მისთვის წაყენებული მოთხოვნა.
- 4.2 რომელიმე წინაპირობის, დამატებითი პირობის ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება განახორციელოს ქვემოთ აღწერილი რომელიმე, რამდენიმე ან ყველა ქმედება:
- 4.2.1 არ გასცეს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი, შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს კლიენტის დაკრედიტება/მომსახურება;
- 4.2.2 კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 10%-ით (ამ პირობის შეცვლა შესაძლებელია მხარეთა დამატებითი შეთანხმებით); დარღვევის გამოსწორებიდან (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან მოთხოვნის შესრულებიდან, რის შესახებაც კლიენტმა უნდა შეატყობინოს ბანკს) მაქსიმუმ 60 (სამოცი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შემცირდება დარღვევამდე (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობამდე) არსებულ ოდენობამდე);
- 4.2.3 მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის დეპონირება ბანკის მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- 4.2.4 გამოიყენოს სანქციები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის მიერ, რაც არ გამოირცხავს ბანკისთვის ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლით მინიჭებული უფლებების განხორციელებას.
- 4.3 ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ცალმხრივად განაახლოს, შეცვალოს (გაზარდოს/შეამციროს) საკრედიტო ლიმიტი, ასევე, საკრედიტო ლიმიტთან, საკომისიოსა და პირგასამტეხლოსთან დაკავშირებული სხვა სატარიფო განაკვეთები მათ შორის იმ შემთხვევაშიც,

თუკი ა) ქვეყანაში ადგილი ექნება ინფლაციის დონის ცვლილებას და/ან ბ) გაიზრდება სავალუტო რისკი და/ან გ) ადგილი ექნება სხვა პროცესებს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს საკრედიტო ბაზარზე კრედიტით სარგებლობისთვის დაწესებული საპროცენტო სარგებლის (განაკვეთების) ცვლილება და/ან დ) რაიმე მიზეზით ბანკი ვალდებული იქნება, კრედიტთან მიმართებით გასწიოს რაიმე დამატებითი ხარჯ(ებ)ი და/ან ე) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის მდგომარეობას და/ან ვ) გაიზრდება დარიცხული სარგებელი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი, წამყვან პოზიციაზე (აქტივების მოცულობის მიხედვით) მყოფი სამი ბანკის აშშ დოლარით დენომინირებულ ერთწლიან დეპოზიტებზე (რაც უნდა დასტურდებოდეს აღნიშნული ბანკების ოფიციალური ვებგვერდებიდან) და/ან ზ) შეიცვლება საერთაშორისო ბაზარზე არსებული დოლარის საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტის შესაბამისი ვადიანობის SWAP განაკვეთები. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში საპროცენტო სარგებლის (განაკვეთის) ცვლილებისას გაზრდილი საპროცენტო სარგებლის (განაკვეთის) ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ პროპორციას, რა პროპორციითაც მოხდა საერთაშორისო ბაზარზე არსებული დოლარის საპროცენტო განაკვეთის და/ან სადეპოზიტო სარგებლის ცვლილება (წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტიდან ბანკის ამ მუხლით განსაზღვრული უფლების გამოყენებამდე);

- 4.3.1 ბანკი ვალდებულია, მსესხებელს აცნობოს ამგვარი ცვლილების შესახებ ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- 4.3.2 იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებას, იგი (მსესხებელი) ვადებულია ამის შესახებ აცნობოს ბანკს აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლამდე და სრულად დაფაროს მიღებული ყველა საკრედიტო პროდუქტი მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ერთად.

## **5 საპროცენტო სარგებლის განაკვეთი და მისი გადახდის წესი**

- 5.1 თითოეული საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისთვის ბანკი კლიენტს უწესებს სარგებლის წლიურ განაკვეთს, რაც არის ამ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის საფასური.
- 5.2 კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული ოდენობითა და პირობებით.
- 5.3 საპროცენტო სარგებელი ერიცხება კლიენტის ფაქტობრივ დავალიანებას ბანკის მიმართ და იანგარიშება პროდუქტით ფაქტობრივად სარგებლობის დღეების შესაბამისად 365 დღეზე გაანაწილებით.
- 5.4 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულების პირობებით შეიძლება დადგინდეს როგორც ფიქსირებული, ისე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.
- 5.5 ფიქსირებულია საპროცენტო განაკვეთი, იმ შემთხვევაში, თუ მისი ოდენობა წინასწარ არის ცნობილი.
- 5.6 იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საკრედიტო ბაზარზე მნიშვნელოვნად შეიცვლება საპროცენტო განაკვეთების ოდენობა კრედიტით (სესხით) სარგებლობისთვის, კლიენტი უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს ბანკს განცხადებით ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისთვის დამატებითი ხელშეკრულებით დადგინილი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ.
- 5.7 ამ ხელშეკრულების 5.6 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში ბანკი ვალდებული იქნება, განიხილოს კლიენტის განცხადება და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტთან გააფორმოს შეთანხმება შესაბამის დამატებით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- 5.8 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო სარგებლის განაკვეთი აღმოჩნდება უფრო დაბალი, ვიდრე საქართველოს საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთები ან/და ბანკის საკრედიტო პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ისე რომ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის ან/და საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი ამის შესახებ კლიენტისთვის შეტყობინების გზით.
- 5.9 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ დაეთანხმება ამ ხელშეკრულების 5.8 პუნქტის საფუძველზე ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის გაზრდას, იგი ვალდებული იქნება ბანკის შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში სრულად დაფაროს ბანკის მიერ მისთვის მიცემული ყველა საკრედიტო პროდუქტი. კლიენტის მიერ ამ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს გაზრდილი განაკვეთის მიხედვით.
- 5.10 იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი გადააჭარბებს 10%-ს, ბანკი უფლებამოსილი იქნება ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად გაზარდოს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთი იმ ოდენობით, რა ოდენობითაც რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი გადააჭარბებს 10%-ს. ეს პუნქტი ვრცელდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გაცემულ იპოთეკურ კრედიტებზე (სესხებზე).
- 5.11 მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი ხელშეკრულებას / შემაღენელ ხელშეკრულებას აქვს თავსართი:
  - 5.11.1 ბანკის მიერ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ცალმხრივად ცვლილების უფლების გამოყენებისას, ცვლილების შესახებ ბანკი მსესხებელს შეატყობინებს ცვლილების ძალაში შესვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე ბანკის სტრუქტურულ ერთეულებში განცხადებების განთავსების და/ან მსესხებლისათვის ელექტრონული საშუალებებით შეტყობინების გაგზავნის (ელ ფოსტა; sms;) და/ან ბანკის ვებგვერდზე აღნიშნული ცვლილების განთავსების და/ან მსესხებლისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ფიქსირებულის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ბანკი განხორციელებს მსესხებლის სასარგებლოდ, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მსესხებელს ცვლილების შესახებ;
  - 5.11.2 მსესხებელს უფლება აქვს, წარადგინოს პრეტენზია ბანკის ხარისხის მართვის დეპარტამენტში ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ზეპირი საჩივარი მსესხებელს შეუძლია დააფიქსიროს, როგორც ბანკის ნებისმიერ თანამშრომელთან, ასევე დარეკოს ბანკის სატელეფონო მომსახურების ცენტრში ნომერზე: +995 532 2 9090. წერილობითი ფორმით პრეტენზიის დაფიქსირებისათვის მსესხებელს უფლება აქვს გამოიყენოს შემდეგი არხები: ა) ფილიალებსა და სერვისცენტრებში არსებული სტანდარტული კითხვარის შევსება, ბ) ელექტრონული ფოსტის გაგზავნა მისამართზე: [quality@republic.ge](mailto:quality@republic.ge), გ) დააფიქსიროს საკუთარი პრეტენზია ბანკის ვებ-გვერდზე შენიშვნებისათვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. პრეტენზიის განხილვის შესახებ დეტალური პროცედურის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მსესხებელს შეუძლია დაუკავშირდეს ბანკის ხარისხის მართვის დეპარტამენტს ან დარეკოს ნომერზე: +995 532 2 9090; წერილობით დაფიქსირებულ პრეტენზიაზე ბანკის მხრიდან პასუხის მიღების ვადები მერყეობს 48 საათიდან 30 სამუშაო დღემდე. თუმცა საჩივრის სირთულიდან გამომდინარე, ბანკი უფლებას იტოვებს საბოლოო პასუხი მსესხებელს მიაწოდოს აღნიშნული ვადის შემდგომ, რის შესახებაც მსესხებელი ბანკის წარმომადგენლისაგან წინასწარ იქნება ინფორმირებული საფოსტო გზაზე აღნიშნული ან ელექტრონული ფორმით.

## **6 ხარჯები, საკომისიოები და სანქციები (პირგასამტეხლოები)**

- 6.1 კლიენტი ვალდებულია აანაზღაუროს ამ ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების დადებასთან, დამოწმებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ყველა და ნებისმიერი ხარჯი.

- 6.2 გაწეული მომსახურების სანაცვლოდ კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო).
- 6.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს კლიენტს შემდეგი სახის საკომისიოების გადახდა:
- 6.3.1 საკომისიო საკრედიტო პროდუქტის დამტკიცებისთვის;
- 6.3.2 საკომისიო საკრედიტო პროდუქტის გაცემისთვის;
- 6.3.3 საკომისიო საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემისთვის;
- 6.3.4 საკომისიო თანხის (პროდუქტის) აუთენტიკაციისთვის (კლიენტი იხდის იმ შემთხვევაში თუ სრულფასოვნად არ სარგებლობს დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით მიღებული საკრედიტო პროდუქტით. ეს პირგასამტეხლო არის კომპენსაცია ბანკის მიერ საკრედიტო რისკის აღებისა და კლიენტის სასარგებლოდ ფულადი სახსრების (რესურსის) მობილიზებისთვის. საკომისიო ერიცხება საკრედიტო პროდუქტის ათვისების შემდეგ დარჩენილ ნაწილს (აუთენტიკაციის ნაშთს));
- 6.3.5 საკომისიო საკრედიტო პროდუქტის პირობ(ებ)ის ცვლილებისთვის (კლიენტი იხდის საკრედიტო პროდუქტის პირობ(ებ)ის ცვლილებისთვის (რესტრუქტურისთვის, პროლონგაციისთვის და ა.შ.). საკრედიტო პროდუქტის პირობ(ებ)ის ცვლილების შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად დააკორექტიროს (გაზარდოს ან შეამციროს) საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო განაკვეთი);
- 6.3.6 საკომისიო საკრედიტო პროდუქტის ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვისთვის (განსაზღვრება ამ ხელშეკრულების 8.6.3 ქვეპუნქტის შესაბამისად. საკრედიტო პროდუქტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში საკომისიო დაერიცხება იმ თანხას, რომელიც აღემატება გრაფიკით განსაზღვრული პერიოდში გადასახდელ ოდენობას, მთელი საკრედიტო პროდუქტის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში საკომისიო დაერიცხება გადახდის მომენტისთვის საკრედიტო პროდუქტის დარჩენილ ოდენობას);
- 6.3.7 საკომისიო საკრედიტო პროდუქტის ვადაზე ადრე გაუქმებისთვის;
- 6.3.8 ბანკის მიერ დადგენილი სხვა სახის საკომისიოები.
- 6.4 საკომისიოს ოდენობა, გადახდის წესი და სხვა პირობები განისაზღვრება ბანკის მიერ (კლიენტთან დადებული დამატებითი ხელშეკრულებით ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით).
- 6.5 ამ ხელშეკრულებით ან/და დამატებითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად, დროულად ან/და სრულფასოვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს შემდეგი სახის პირგასამტეხლოები:
- 6.5.1 პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის არის ფულადი თანხა, რომელიც შედგება ფიქსირებული პირგასამტეხლოსა და ყოველდღიური პირგასამტეხლოსგან და რომელსაც კლიენტი ბანკს უხდის ამ ან/და დამატებითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობის (თანხის გადაუხდელობის) შემთხვევაში;
- 6.5.2 პირგასამტეხლო წინაპირობის ან/და დამატებითი პირობის დარღვევისთვის არის ფულადი თანხა, რომელსაც კლიენტი ბანკს უხდის დამატებითი ხელშეკრულებით დადგენილი რომელიმე წინაპირობის ან/და დამატებითი პირობის შეუსრულებლობისთვის;
- 6.5.3 ბანკის მიერ დადგენილი სხვა სახის პირგასამტეხლოები.
- 6.6 პირგასამტეხლო მონიტორინგთან დაკავშირებული ვალდებულების დარღვევისთვის არის ფულადი თანხა, რომელსაც კლიენტი ბანკს უხდის მონიტორინგთან დაკავშირებული რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში.
- 6.7 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად შეუსრულებლობისა და ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო კლიენტის მიერ ვალდებულების დარღვევის მომენტისთვის მიღებული საკრედიტო პროდუქტების საერთო მოცულობის 0,1%-ის ოდენობით ვალდებულების შესრულების ვადისთვის გადაცილებული ყოველი დღისთვის.
- 6.8 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების ისეთი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც არ არის დაკავშირებული ვალდებულების დროულად შესრულებასთან კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო კლიენტის მიერ ვალდებულების დარღვევის მომენტისთვის მიღებული საკრედიტო პროდუქტების საერთო მოცულობის 1%-ის ოდენობით დარღვევის ყოველი ფაქტისთვის (თუ ბანკი მოითხოვს პირგასამტეხლოს გადახდას).
- 6.9 ბანკს უფლება აქვს დამატებით დააწესოს საკომისიოები ან/და პირგასამტეხლოები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით.
- 6.10 პირგასამტეხლოს დაკისრება მხარეთა უფლებაა და არც ერთ მხარეს არ აქვს ცალსახა ვალდებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გადახდას დაექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც ექნება პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის უფლება მეორე მხარეს მოსთხოვს პირგასამტეხლოს გადახდას. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ძირითადი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ან/და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.
- 6.11 ამ ხელშეკრულებით ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებით კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ების შესრულების უზრუნველსაყოფად, იპოთეკის/გირავნობის საგნ(ებ)ის ან/და კლიენტის აქტივების რეალიზაციის ან/და რეალიზაციაში ხელშემშლელი გარემოებ(ებ)ის ლიკვიდაციის მიზნით ბანკს უფლება ექნება, კლიენტის ანგარიშზე ცალმხრივად დაუშვას ოვერდრაფტი ან/და გასცეს საბანკო კრედიტი, განსაზღვროს ოვერდრაფტის/საბანკო კრედიტის პირობები (მათ შორის საპროცენტო სარგებლის განაკვეთის ოდენობა, დაფარვის ვადა და გრაფიკი) და ოვერდრაფტის/საბანკო კრედიტის თანხა გამოიყენოს კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესასრულებლად, რაზეც კლიენტი თანხმობას აცხადებს ამ ხელშეკრულების ხელმოწერით.
- 6.12 ამ ხელშეკრულების 6.11 პუნქტით ბანკისთვის მინიჭებული უფლების განხორციელების შესახებ კლიენტს ეცნობება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
- 6.13 მსესხებლის მიერ დამატებითი ხელშეკრულებით / შემადგენელი ხელშეკრულებით და/ან გრაფიკით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი ხელშეკრულებით / შემადგენელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ყოველი პირველი ვადაგადაცილებული დღის პირგასამტეხლო (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და დავალიანების ძირითადი თანხის 0.5 (ნული მთელი და ხუთი მეათედი) პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ბანკის მიერ მსესხებლისთვის მიცემულ დამატებით ვადაში (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) დავალიანების სრულად, ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, დამატებითი ვადის ამოწურვისთანავე ჩერდება პირგასამტეხლოს დარიცხვა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის და ბანკი უფლებამოსილია მსესხებელს დააკისროს ჯარიმა დავალიანების ძირითადი თანხის 12 (თორმეტი) პროცენტის ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს დამატებითი ხელშეკრულებით / შემადგენელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან. ამ პუნქტის მიზნებისთვის დავალიანების ძირითადი თანხის ქვეშ მხარეები გულისხმობენ საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის ფარგლებში ჯამურად გადასახდელ თანხას, რომელიც არ დაიფარა დამატებითი ხელშეკრულებით / შემადგენელი ხელშეკრულებით და/ან გრაფიკით (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრულ ვადაში/პერიოდულობით.

- 7.1 კლიენტის მიერ ბანკის მიმართ ვალდებულებ(ებ)ის შესრულება (დავალიანების დაფარვა), როგორც წესი, ხორციელდება ანგარიშებზე აკუმულირებული, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის ან/და საკრედიტო ლიმიტის სახით ხელმისაწვდომი სახსრებით.
- 7.2 ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწრა ხდება კლიენტის დავალბებით ან დავალბების გარეშე, უაქცეპტო წესით, ამასთან კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკი არ არის ვალდებული კლიენტის დავალბების გარეშე ჩამოწროს თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან კლიენტის რომელიმე ვალდებულების შესრულების მიზნით.
- 7.3 ბანკს უფლება აქვს:
  - 7.3.1 მის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) ჩამოწროს თანხა კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწროს მომენტისათვის დადგენილი კურსით;
  - 7.3.2 კლიენტის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის, შსს მომსახურების სააგენტოსთვის ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადასახდელი მომსახურების საფასური ან/და კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული სხვა სახის გადასახდელი (მათ შორის სადაზღვეო პრემია) კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) გადარიცხოს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან შესაბამისი პირის ანგარიშზე;
  - 7.3.3 იმ პირისთვის თანხის გადახდის მიზნით, ვისგანაც კლიენტი ბანკის მიერ გაცემული კრედიტით შეიძენს ნივთს ან მიიღებს მომსახურებას, კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) ჩამოწროს შესაბამისი თანხა, დააკონვერტიროს ეროვნულ ვალუტაში, ჩარიცხოს კლიენტის საღირსე ანგარიშზე და გადარიცხოს შესაბამისი პირის ანგარიშზე.
- 7.4 კლიენტის მიერ კრედიტის დასაფარავად ბანკისთვის გადაცემული ან კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხით პირველ რიგში დაიფარება სადაზღვეო პრემია, შემდეგ პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საკომისიოებთან დაკავშირებული დავალიანება, შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. კლიენტი ბანკს უფლებას ანიჭებს:
  - 7.4.1 ცალმხრივად შეცვალოს ამ ხელშეკრულების 7.4 პუნქტში მოცემული წესი;
  - 7.4.2 თავად განსაზღვროს კლიენტის ვალდებულებების შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა), ანუ ცალმხრივად გადაწყვიტოს, თუ რა ოდენობით (მოცულობით) და რომელ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული დავალიანება დაიფაროს კლიენტის მიერ მისთვის გადაცემული ან/და კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული თანხ(ებ)ით, რაც ნიშნავს იმას, რომ კლიენტი ბანკს ანიჭებს კლიენტის სახელით კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობის (პრიორიტეტულობის) განსაზღვრის უფლებამოსილებას.
- 7.5 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტთან გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული რომელიმე გადახდის თარიღი დაემთხვა არასაბანკო დღეს, ამგვარი გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო საბანკო დღეს. ასეთ შემთხვევაში კლიენტის დავალიანებას არ დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის.
- 7.6 ამ ხელშეკრულების 7.4 პუნქტის შესაბამისად, თუ ბანკის მიერ სხვაგვარად არ იქნა დადგენილი: ოვერდრაფტის დაფარვისას ჯერ იფარება პირგასამტეხლო (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ არასანქცირებული ოვერდრაფტი (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ – დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ბოლოს – ოვერდრაფტის ძირითადი თანხა.

## 8 კრედიტის დაფარვა ვადაზე ადრე

- 8.1 საბანკო კრედიტის (სესხის), საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის, საკრედიტო ლიმიტის და კლიენტთან/მსესხებელთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტის (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში “კრედიტის”) დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების ვადაზე ადრე განხორციელება (მათ შორის კრედიტის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნება ან/და რეფინანსირება) ან/და გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ სავარაუდო გადახდის თარიღამდე 10 (ათი) საბანკო დღით ადრე კლიენტის/მსესხებლის მიერ შესაბამისი წერილობითი განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემდეგ.
- 8.2 კრედიტის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად შეცვალოს კრედიტის დაფარვის გრაფიკი (შეადგინოს ახალი გრაფიკი) და ამ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებული იქნება კრედიტი დაფაროს ბანკის მიერ შედგენილი ახალი გრაფიკის მიხედვით. ახალი გრაფიკი შედგება შემდეგი პრინციპით: გადასახდელი თანხა თანაბრად გადანაწილდება კრედიტის სრულად დაფარვამდე დარჩენილ ვადაზე (ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად შეცვალოს ეს წესი).
- 8.3 კრედიტის წინსწრებით დაფარვის შესახებ განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემთხვევაში, კლიენტი/მსესხებელი ვალდებული იქნება წარუდგინოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იძლევა კრედიტის რეფინანსირების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას ან უარყოფს კრედიტის რეფინანსირების ფაქტს.
- 8.4 ბანკს უფლება ექნება კლიენტის/მსესხებლის განცხადების მიღების შემდეგ ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს/მსესხებელს კრედიტის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტის მისთვის წარდგენა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა.
- 8.5 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის კრედიტის რეფინანსირებად ჩაითვლება ბანკის გარდა ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის (კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის ან/და სხვა პირის) მიერ გაცემული თანხით ბანკისგან მიღებული კრედიტის წინსწრებით (შეთანხმებულ ვადაზე ადრე) დაფარვა პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით.
- 8.6 მხარეები თანხმდებიან, რომ:
  - 8.6.1 ბანკი არ არის ვალდებული დაამტკიცოს რეფინანსირების ფაქტი და მას უფლება აქვს, კრედიტის რეფინანსირების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი წყაროთი მიღების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისთვის/მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ;
  - 8.6.2 ბანკის მიერ კლიენტისთვის/მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება, უაქცეპტო წესით ჩამოწროს შესაბამისი საკომისიო ან/და პირგასამტეხლო კლიენტის/მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან (იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწროს მომენტისათვის დადგენილი კურსით);
  - 8.6.3 საკომისიოსა და პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება კლიენტთან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ან/და ბანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის მიხედვით;
  - 8.6.4 რეფინანსირების არარსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება კლიენტს/მსესხებელს;
  - 8.6.5 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი/მსესხებელი სასამართლოსთვის მიმართავს გზით დაამტკიცებს რეფინანსირების არარსებობის ფაქტს, ბანკი ვალდებული იქნება, დაუბრუნოს მას მხოლოდ უაქცეპტო წესით ჩამოწრილი საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, ხოლო კლიენტი/მსესხებელი უარს აცხადებს ბანკის ქმედებით (ბანკის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით) მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.
- 8.7 კლიენტის მიერ ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევის ან/და ამ ხელშეკრულების 12.1.1-12.1.20 ქვეპუნქტებში აღწერილი რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება კლიენტის თანხმობის გარეშე წინსწრებით დაფაროს შესაბამისი

დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტი კლიენტის ანგარიშზე არსებული ან/და ხელმისაწვდომი თანხ(ებ)ის უაქცეპტო წესით ჩამოწერის გზით. ბანკისთვის ამ პუნქტით მინიჭებული უფლების გამოყენების შემთხვევაში კლიენტი არ იქნება ვალდებული გადაიხადოს პირგასამტეხლო ან საკომისიო კრედიტის წინსწრებით დაფარვისთვის.

### 9 უზრუნველყოფა

- 9.1 ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებები უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებისა და მის ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილ ყველა ვალდებულებას.
- 9.2 იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის ობიექტი დაზიანდება, განადგურდება, დაკარგავს მატერიალური ფასეულობას ან შემცირდება მისი საბაზრო ღირებულება, ბანკს უფლება ექნება, კლიენტს მოსთხოვოს უზრუნველყოფის ობიექტის ალტერნატიული, ადეკვატური ღირებულების ობიექტით ჩანაცვლება, ან საკრედიტო პროდუქტის შესაბამისი ნაწილის დაფარვა. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება, დაუყოვნებლივ შეასრულოს (დააკმაყოფილოს) ბანკის მოთხოვნა.
- 9.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ან/და დაგირავებული ქონების (უზრუნველყოფის ობიექტების) რეალიზაციით მიღებული თანხა საკმარისი არ იქნება ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე წარმოშობილი ყველა ვალდებულების მთლიანად შესასრულებლად, კლიენტის ვალდებულებები ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ იპოთეკისა და გირავნობის საგნების რეალიზაციით მიღებული თანხ(ებ)ის ტოლი ოდენობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს თანხა, რომელიც ტოლი იქნება სხვაობისა კლიენტის ვალდებულებების საერთო მოცულობასა და იპოთეკის/გირავნობის საგნების რეალიზაციის მიღებული თანხების ჯამურ ოდენობას შორის. იგივე წესი გავრცელდება ნებისმიერ დანახარჯზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას იპოთეკის ან/და გირავნობის საგნების ან კლიენტის კუთვნილი სხვა აქტივ(ებ)ის რეალიზაციის პროცესში.
- 9.4 იმ შემთხვევაში, თუ ბანკის (როგორც იპოთეკარის ან/და მოგირავნის) მიერ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულება იქნება უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობაზე ნაკლები ან თუ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა არ იქნება საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარავად, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულების ან იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხის ტოლი ოდენობით.
- 9.5 ამ ხელშეკრულების 9.4 პუნქტით დადგენილი წესი გამოიყენება ასევე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში იპოთეკისა და გირავნობის საგნ(ებ)ის რეალიზაციის შემთხვევაში, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი დატვირთული ნივთის სყიდვის ფასი იქნება ბანკის მოთხოვნაზე ნაკლები, დატვირთული ნივთის რეალიზაციით მიღებული თანხით ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბანკის მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო ბანკი უზრუნველყოფილ კრედიტორად.
- 9.6 ბანკის მოთხოვნ(ებ)ის დაკმაყოფილების/კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიზნით ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს აღსრულების მიქცევა კლიენტის ნებისმიერ ქონებაზე (კლიენტის კუთვნილ ნებისმიერ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, მათ შორის ქონებაზე, რომელსაც მოვალე შეიძენს ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ) მიუხედავად იმისა უზრუნველყოფილია, თუ არა კლიენტის ვალდებულება (ბანკის მოთხოვნა) სანივთო უფლებით (იპოთეკით, გირავნობით). ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, გადახდა/აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს კლიენტის იმ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, რომელიც არ წარმოადგენს კლიენტის ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს.
- 9.7 იმ შემთხვევაში, თუ ბანკი უარს იტყვის იპოთეკაზე (მოთხოვნაზე უარის თქმის გარეშე) კლიენტი არ განთავისუფლდება იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებებისგან მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა მას თავის მხრივ იპოთეკიდან ანაზღაურების მიღება.

### 10 დაზღვევა

- 10.1 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების შემცველი სადაზღვევო პოლისის ბანკისთვის წარდგენა.
- 10.2 ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება:
  - 10.2.1 დაზღვევა განახორციელოს ბანკისათვის მისაღები სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით, ამ კომპანიის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად;
  - 10.2.2 დაზღვევა განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობების დაცვით;
  - 10.2.3 მზღვეველს მოსთხოვოს სადაზღვევო პოლისში შენეფიციარად ბანკის დასახელება;
  - 10.2.4 თუ სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა ნაკლებია ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე, პოლისის მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგინოს ბანკს განახლებული სადაზღვევო პოლისი.
- 10.3 კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, დაზღვევის უწყვეტობის/განგრძობადობის უზრუნველყოფის და/ან დაზღვევასთან დაკავშირებით კლიენტის ვალდებულების სრულად ან ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე:
  - 10.3.1 იმოქმედოს კლიენტის სახელით და მისივე ხარჯით, შესაბამისად, ამ მიზნით, კლიენტის სახელითა და მის ხარჯზე გამოვიდეს მესამე პირებთან (მათ შორის, სადაზღვევო კომპანიებთან) ურთიერთობებში, განახორციელოს მზღვეველის ცვლილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, შეწყვიტოს ნებისმიერ მზღვეველთან არსებული სადაზღვევო ურთიერთობა/ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია ბანკის მომსახურებასთან, დაამუშაოს (მათ შორის გასცეს შესაბამისი პერიოდულობით სადაზღვევო კომპანიაზე) კლიენტის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის მიზნით, დადოს ან/და ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას, შეტყობინებას, განცხადებას ან/და სხვა ნებისმიერ დოკუმენტს. ბანკის აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება არ არის დამოკიდებული კლიენტის მხრიდან რაიმე სახის დამატებით თანხმობაზე, ნებართვაზე ან/და მინდობილობაზე და წინამდებარე უფლებამოსილება არ შეიძლება შეიზღუდოს მესამე პირებთან (მათ შორის სადაზღვევო კომპანიებთან) ურთიერთობებში, ბანკის მიერ წინამდებარე უფლებამოსილების განხორციელების, შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ან/და მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიო, ბანკის მიერ შერჩეული სადაზღვევო კომპანიის მიერ დადგენილი ოდენობით. ამასთან, სადაზღვევო პრემიის ან/და მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოს გადახდა წარმოადგენს სესხთან დაკავშირებულ აუცილებელ გადასახდელს და ამ გადასახდელის გადახდის (ან გადახდის ვალდებულების აღების) გარეშე არ მოხდება სესხის გაცემა.
- 10.4 კლიენტი თანახმაა და ბანკს უფლებას აძლევს, კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან ყოველთვიურად უაქცეპტო წესით ჩამოწეროს სადაზღვევო პრემიის თანხა და განახორციელოს ანგარიშსწორება სადაზღვევო კომპანიასთან. სავალუტო ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწერის შემთხვევაში კვივალენტო განისაზღვრება თანხის ჩამოწერის დღისთვის ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.
- 10.5 იმ შემთხვევაში თუ კლიენტი/ბარათის მფლობელი არ გადაიხდის სადაზღვევო პრემიას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში დავალიანება ჩაითვლება ვადაგადაცილებულად.

10.6 დაზღვევის პირობების არსებითი გაუარესების ან სადაზღვევო ტარიფების გაზრდის შემთხვევაში კლიენტს/ზარათის მფლობელს უფლება ექნება წერილობით გამოხატოს სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნის გაუქმების სურვილი. ბანკი ცალმხრივად იღებს გადაწყვეტილებას სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნის გაუქმების შესახებ ხელმძღვანელობს რა საკუთარი დაკრედიტების პრინციპებითა და წესებით.

### 11 ინფორმაცია კლიენტის შესახებ და მონიტორინგი

11.1 კლიენტი აცხადებს, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამწარმოო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამოწურავი. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

11.2 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთან (შემდგომში „ბიუროსთან“) დადებული ხელშეკრულების შესაბამისად:

ა) კლიენტისათვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით, ბ) საკრედიტო პროდუქტების მიღების შესახებ კლიენტის განაცხადის/მოთხოვნის დამუშავების მიზნით, გ) კლიენტის მიმდინარე საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის მონიტორინგის მიზნით, დ) ბანკის მიერ ცალმხრივად (კლიენტის განაცხადების გარეშე) კლიენტისათვის საკრედიტო პროდუქტის შეთავაზების მიზნით და ამ მიზანთა განსახორციელებლად, ნებისმიერ დროს, კლიენტის შემდგომში თანხმობის გარეშე, გადასცეს ბიუროს კლიენტის ნებისმიერი მონაცემი (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური) და/ან ბიუროს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში გაეცნოს კლიენტის შესახებ დაცული ნებისმიერ ინფორმაციას (დაამუშავოს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია იმ მოცულობითა და ოდენობით, რაც საჭიროა კონკრეტული მიზნის მისაღწევად). კლიენტი წინამდებარე თანხმობის გაცხადებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ბანკისათვის მინიჭებული უფლებამოსილება არ არის ვადით შეზღუდული, რაც ბანკს უფლებას ანიჭებს, ზემოაღნიშნული მიზნ(ებ)ის მისაღწევად, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ბიუროს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში კლიენტის შესახებ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია (იმ მოცულობითა და ოდენობით, რაც საჭიროა კონკრეტული მიზნის მისაღწევად). ამასთან, კლიენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია მისი უფლებების შესახებ, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია ბიუროსაგან მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოს მათში ცვლილების/დამატების შეტანა და მოსთხოვოს ბანკს მონაცემთა შემდგომი დამუშავების შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი ბანკში სარგებლობს მიმდინარე საკრედიტო პროდუქტ(ებ)ით.

11.3 კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად (ნებისმიერი მოცულობითა და რაოდენობით):

11.3.1 კანონმდებლობით დადგენილი წესით, კლიენტისათვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან საჭირო მოცულობით, მიიღოს ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები (მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები);

11.3.2 სასამართლოს, არბიტრაჟს ან/და მესამე პირს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის კლიენტის საბანკო ანგარიშების, შესრულებული ოპერაციების, ანგარიშებზე არსებული ნაშთების, კლიენტის ვალდებულებების შესახებ მონაცემები) და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება;

11.3.3 ნებისმიერი საშუალებით გაავრცელოს ინფორმაცია კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შესახებ;

11.3.4 კლიენტის თავდებ(ებ)ს ან/და ნებისმიერ პირს, რომლის ქონებითაც უზრუნველყოფილია კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესრულება, მიაწოდოს ინფორმაცია ბანკის მიმართ კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესახებ და/ან ამ პუნქტში ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი (მათ შორის, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება);

11.3.5 კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრობლემური აქტივ(ებ)ის მართვის მიზნით, ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პრობლემური აქტივების მართვის კომპანიებს, გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

11.3.6 ბანკის აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, საჭიროების შესაბამისად, გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

11.3.7 კლიენტისათვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებისა და გაწევისათვის (მათ შორის სხვადასხვა პროდუქტ(ებ)ის შეთავაზებისათვის) აუცილებელი ინფორმაცია (მ.შ. კლიენტის პერსონალური მონაცემები), გადასცეს ბანკის შვილობილ კომპანიებს ან სხვა მონათესავე საწარმო(ებ)ს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

11.4 კლიენტი ბანკს ათავისუფლებს ამ ხელშეკრულების 11.3 პუნქტის საფუძველზე მიღებული/გაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან აცხადებს უარს ზემოხსენებულ პუნქტში აღწერილი ინფორმაციის ბანკის მიერ გამჟღავნებებით ან მესამე პირისთვის გადაცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

#### 11.5 კლიენტი ვალდებულია:

11.5.1 ბანკის მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მას მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტ(ებ)ი;

11.5.2 შექმნას საკრედიტო პროდუქტების მიზნობრივად გამოყენების კონტროლისა და ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობები, კლიენტის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების ამსახველი საბუთების რეგულარული გაცნობის და მისი შენობა-ნაგებობებში თავისუფალი შესვლის, სათავსოებისა და მოწყობილობების დათვალიერების და შემოწმების საშუალება (შემოწმების პერიოდულობა და რაოდენობა განისაზღვრება ბანკის მიერ კლიენტისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე).

11.5.3 დაუყოვნებლივ შეასრულოს ბანკის მიერ მისთვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარდგენილი ნებისმიერი მოთხოვნა;

11.5.4 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამ უკანასკნელისთვის კლიენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში, კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის დამფუძნებლებში, მენეჯმენტში ან აღმასრულებელ/სამეთვალყურეო ორგანოში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების შესახებ და წარუდგინოს ბანკს შესაბამისი ცვლილების ამსახველი საბუთ(ებ)ი;

11.5.5 ყოველკვარტალურად (კვარტლის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე) მიაწოდოს ბანკს:

ა) კლიენტის ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი შედგენილი ბანკისთვის მისაღები ფორმით და საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების მოთხოვნების დაცვით;

ბ) დეტალური ინფორმაცია უმსხვილესი დებიტორებისა და კრედიტორების შესახებ;

გ) ინფორმაცია მატერიალური მარაგების, მზა პროდუქციის, საწარმოო ხაზებისა და ახალი პროდუქციის შესახებ;

დ) ინფორმაცია დამფუძნებლების მიერ ბიზნესიდან ამოღებული თანხების შესახებ;

- ე) ინფორმაცია შესაბამისი კვარტლის განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციების შესახებ;
  - ვ) ინფორმაცია შესაბამისი კვარტლის განმავლობაში განხორციელებული კაპიტალური დაზანდებების შესახებ;
  - ზ) ინფორმაცია მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებებისა და ახალ კონტრაქტებთან დამყარებული ურთიერთობების შესახებ;
  - თ) ინფორმაცია საფინანსო ინსტიტუტების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესახებ;
  - ი) ინფორმაცია კლიენტის კაპიტალში ან/და დამფუძნებელთა სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შესახებ;
  - კ) ინფორმაცია უახლოესი მომავლის ბიზნეს გეგმებისა და კომპანიის განვითარების მიმართულებების შესახებ.
- 11.5.6 ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ დაიწყოს გაკოტრების, რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) ან ლიკვიდაციის პროცედურები;
- 11.5.7 არ გასცეს დივიდენდ(ებ)ი;
- 11.5.8 არ განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები და/ან ინვესტიციები.
- 11.6 **ბანკი უფლებამოსილია:**
- 11.6.1 გადაამოწმოს კლიენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მისთვის მისაღები გზებით;
  - 11.6.2 შეამოწმოს კლიენტის ფინანსური უწყისები და მატერიალური აქტივები ადგილზე ვიზიტით (კლიენტი ვალდებულია დაუშვას ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენელი (დასაქმებული) მის ტერიტორიაზე და წარუდგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია);
  - 11.6.3 საკუთარი შეხედულებებისამებრ ნებისმიერ დროს მოითხოვოს იზოთეკისა ან/და გირავნობის საგნ(ებ)ის ისევე, როგორც კლიენტის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული ნებისმიერი აქტივის დათვალიერება.
  - 11.6.4 მოითხოვოს ამ ხელშეკრულების 11.5.5 ქვეპუნქტში აღწერილი ინფორმაციის ან მისი ნაწილის ბანკისთვის მიწოდება ყოველთვიურად ან/და კლიენტისგან ყოველი მომდევნო განაცხადის მიღებისას;
- 11.7 კლიენტი ადასტურებს, რომ მისი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს;
- 11.8 კლიენტი ვალდებულია:**
- 11.8.1 უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დაცვა, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში შეიმუშაოს ამ რისკების კონტროლის სამოქმედო გეგმა (სტრატეგია) და განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების წინააღმდეგ (შესამცირებლად ან/და თავიდან ასაცილებლად) მიმართული ქმედებები ან/და ინვესტიციები;
  - 11.8.2 ბანკს აცნობოს ნებისმიერი ინციდენტის ან/და საგანგებო სიტუაციის შესახებ, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი/საზიანო ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე, ადამიანების (მაგალითად დასაქმებულების, მეზობლების, მომხმარებლების) ჯანმრთელობაზე ან/და უსაფრთხოებაზე;
  - 11.8.3 მიაწოდოს ბანკს ინფორმაცია კლიენტის მიერ განხორციელებული ან/და განსახორციელებელი ნებისმიერი ქმედების შესახებ, რომელიც მიმართული იქნება ზიანის ანაზღაურებისკენ კანონმდებლობის (შესაბამისი ნორმატიული აქტების) შესაბამისად.
  - 11.8.4 ბანკს აცნობოს ამ ხელშეკრულების 11.7 და 11.8 პუნქტებში აღწერილი რომელიმე მოთხოვნის ნებისმიერი დარღვევის შესახებ.

**12 საკრედიტო ურთიერთობის ან/და ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის პირობები**

- 12.1 ბანკს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში თუ დადგება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი გარემოება:
  - 12.1.1 კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ნებისმიერ დამატებითი ხელშეკრულებით ან ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას;
  - 12.1.2 კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებისთვის თანდართული გრაფიკის მიხედვით თანხის გადახდის ვალდებულებას;
  - 12.1.3 არ შესრულდება (დაირღვევა) რომელიმე წინაპირობა, დამატებითი პირობა ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნა;
  - 12.1.4 კლიენტი იკისრებს ნებისმიერ ვალდებულებას ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
  - 12.1.5 კლიენტი არამიზნობრივად გამოიყენებს რომელიმე დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ საკრედიტო პროდუქტს (დაარღვევს მიზნობრიობას);
  - 12.1.6 მნიშვნელოვნად შემცირდება კლიენტის კაპიტალი;
  - 12.1.7 განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილება კლიენტის საკუთრებაში ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
  - 12.1.8 მოხდება ნებისმიერი ცვლილება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის დამფუძნებელში, მენეჯმენტში ან აღმასრულებელ/სამეთვალყურეო ორგანოში ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
  - 12.1.9 კლიენტის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი (ოცი პროცენტი ან მეტი) გასხვისდება ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
  - 12.1.10 გაუარესდება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის ქონებრივი ან/და ფინანსური მდგომარეობა ან შეიქმნება ასეთი გარემოების დადგომის საფრთხე;
  - 12.1.11 ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარე ან მისი უფლებამონაცვლე დაარღვევს შესაბამისი ხელშეკრულების რომელიმე პირობას;
  - 12.1.12 განადგურდება, დაზიანდება ან/და ღირებულება შემცირდება ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის ობიექტ(ებ)ს, რისთვისაც ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა;
  - 12.1.13 კლიენტის მიმართ დაიწყება სააღსრულებო წარმოება;
  - 12.1.14 კლიენტის რომელიმე საბანკო ანგარიშს ან კლიენტის კუთვნილ ქონებას (ნებისმიერ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს) დაედება ყადაღა ან კლიენტის ან მისი ქონების მიმართ გამოყენებული იქნება სარჩელის, გადაწყვეტილების აღსრულების ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიება;
  - 12.1.15 რაიმე უფლებით, ვალდებულებით ან/და შეზღუდვით (მათ შორის საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებით, ყადაღით და სხვა) დაიტვირთება ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ან/და კლიენტის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;
  - 12.1.16 კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის მიმართ დადგება ლიკვიდაციის ან გადახდისუუნაროდ გამოცხადების საფრთხე ან თუ ზემოთ ჩამოთვლილ პირთაგან რომელიმე თავად მიიღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ;
  - 12.1.17 ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს კლიენტს ნებისმიერ აქტივს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს ასეთი აქტივის ნაციონალიზაციას ან მოხდება სხვაგვარი ექსპროპრიაცია;



- 12.1.18 კლიენტის მიერ გაცემებული ნებისმიერი განცხადება ან/და ბანკისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი ან მცდარი (სინამდვილესთან შეუსაბამო);
- 12.1.19 კლიენტი ჩაიდენს ბანკის მოტყუებისკენ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას;
- 12.1.20 დადგება ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომლის არსებობამაც შეიძლება ექვექვემ დააყენოს კლიენტის, მისი თავდების ან/და ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება ან კლიენტის მიერ თანხის დროულად გადახდა.
- 12.2 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამ ხელშეკრულების 12.1.1-12.1.20 ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შესახებ.
- 12.3 ამ ხელშეკრულების 12.1 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში (მიუხედავად კლიენტის ბრალისა ამ ხელშეკრულების 12.1 პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომაში) კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ (ან ბანკის მიერ მითითებულ ვადაში) დაუბრუნოს ბანკს კრედიტის ძირითადი თანხა მისთვის დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაძლოა ბანკის წინაშე ნაკისრი ყველა ფინანსური ვალდებულება.
- 12.4 ამ ხელშეკრულების 12.1 პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტოდ) გადაიყვანოს კლიენტი გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს ბანკის სრულ უფლებამოსილებას, მიავლინოს მისი წარმომადგენელი კლიენტთან (კლიენტის კუთვნილ ნებისმიერ სათავსოში) და რეალური შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე უშუალოდ კლიენტისგან (მათ შორის მისი სალაროდან) მიიღოს ბანკისთვის გადასახდელი თანხა ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ.
- 12.5 ამ ხელშეკრულების 12.4 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ბანკის წარმომადგენლის დაშვება იპოთეკისა და გირავნობის ნებისმიერი საგნის ან/და კლიენტის კუთვნილი ნებისმიერი აქტივის (ქონების) შესამოწმებლად ან/და კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად, რაც არ გამოირიგება ბანკისთვის ამ ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა ნებისმიერი უფლების გამოყენების შესაძლებლობას.
- 12.6 ამ ხელშეკრულების 12.1.18 და 2.1.19 ქვეპუნქტებში აღწერილი რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა ქმედება:
  - 12.6.1 ცალმხრივად შეცვალოს (დააკორექტიროს) კლიენტის მიერ მიღებული საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის პირობები;
  - 12.6.2 კლიენტს წაუყენოს დამატებითი მოთხოვნები (ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაავიწყდოს ბანკის მიერ მისთვის წაყენებული მოთხოვნები);
  - 12.6.3 შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

### 13 სხვა პირობები

- 13.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
- 13.2 კლიენტს არ აქვს ამ ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება ამ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული ყველა დოკუმენტით ნაკისრი უკლებლივ ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.
- 13.3 ბანკს უფლება აქვს ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ამ ხელშეკრულების ან/და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების ტექსტში, ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკის ინტერნეტ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების ან კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. ამ პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტს უფლება ექნება ბანკის ინტერნეტ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან ან ბანკის შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეასრულოს ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებები (მათ შორის სრულად დააბრუნოს ბანკისგან მიღებული კრედიტ(ებ)ი მათთვის დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) და შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად;
- 13.3.1 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ წინამდებარე ან/და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების პირობების ცვლილებას, ბანკი განახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს კლიენტს ცვლილების შესახებ.
- 13.4 ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა):
  - 13.4.1 მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებლის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია (ა) წინამდებარე ხელშეკრულებაში და/ან (ბ) მსესხებლის მიერ ბანკისათვის მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში და/ან (გ) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, ითვლება მსესხებლისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად;
  - 13.4.2 თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 13.4.1 ქვეპუნქტში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით), მისთვის ჩაბარებულად ითვლება;
  - 13.4.3 შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნის მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას;
  - 13.4.4 შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც.
- 13.5 მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია ბანკის, მისი ფილიალებისა და სერვისცენტრების მისამართები.
- 13.6 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 13.7 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება 13.12–13.15 პუნქტების შესაბამისად.
- 13.8 მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის

- დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.
- 13.9 ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.
- 13.10 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.
- 13.11 კლიენტის მომსახურების პირობები უფრო დეტალურად არის აღწერილი ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში (მათ შორის ბუკლეტები, ბროშურები, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა). საინფორმაციო მასალაში მოცემულ ინფორმაციას და ამ ხელშეკრულების შინაარსს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება ამ ხელშეკრულების დებულებები.
- 13.12 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს, თუ დავის საგნის ჯამური (საერთო) ღირებულება ნაკლებია 7 000 (შვიდი ათასი) ლარზე და/ან მეტია 300 000 (სამასი ათასი) ლარზე ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიეცემა იქნეს დაუყოვნებლივ აღსარებულად.
- 13.13 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა არბიტრაჟს, თუ დავის საგნის ჯამური (საერთო) ღირებულება მეტია 7 000 (შვიდი ათასი) ლარზე და/ან ნაკლებია 300 000 (სამასი ათასი) ლარზე ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). არბიტრაჟს დავა განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა შემდეგი წესით: 1) 7 000 (შვიდი ათასი) ლარიდან 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდე - მუდმივმოქმედ არბიტრაჟს "მორავი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 404379347); 2) 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარიდან 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარამდე - მუდმივმოქმედ არბიტრაჟს "დავების განმხილველი ცენტრი" (DRC) (საიდენტიფიკაციო კოდი: 204547348); 3) 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარიდან 300 000 (სამასი ათასი) ლარამდე - მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205273005). იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში, ზემოხსენებულ არბიტრაჟთან რამელიმე იქნება ლიკვიდირებული ან მას შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება, დავა განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს.
- 13.14 მხარეები თანხმდებიან და ადგენენ საარბიტრაჟო წარმოების წესებს და პროცედურებს ქვემოთ მოყვანილი პირობების (საარბიტრაჟო დათქმა-შეთანხმება) შესაბამისად. საარბიტრაჟო წარმოების წესები და პროცედურები განისაზღვრება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად, თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვა წესები და პროცედურები არ არის განსაზღვრული ან წინამდებარე შეთანხმება არ ადგენს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებისაგან განსხვავებულ ან/და დამატებით წესებს და პროცედურებს. ამასთან გამოიყენება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების ის რედაქცია, რომელიც მოქმედებს საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის. საარბიტრაჟო დავ(ებ)ის განხილვის ადგილი არის ქალაქი თბილისი, არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად და საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება დავას განიხილავს ერთი არბიტრის შემადგენლობით. მხარეები თანხმდებიან, რომ არბიტრის დანიშვნის უფლება გააჩნია ერთპიროვნულად ბანკს. ბანკი არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 3 (სამი) დღის ვადაში. დანიშნული არბიტრი სავალდებულოდ უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, უმაღლესი ურიდიული განათლების მქონე პირი, 2 (ორი) წლის გამოცდილებით საბანკო სფეროში. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 20 000 (ოცი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად უცხოურ ვალუტაში, არბიტრაჟი დავას განიხილავს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე (საარბიტრაჟო განხილვის ფორმა), მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ ბანკი არ დანიშნავს არბიტრს ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში, ჩაითვლება რომ ის უარს ამბობს ისარგებლოს არბიტრის უშუალოდ დანიშვნის უფლებით. ასეთ შემთხვევაში მხარეები წინასწარ თანხმდებიან, რომ არბიტრის დანიშვნის უფლება გადაეცემა მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებას და მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება არბიტრს ნიშნავს ბანკის მიერ არბიტრის დანიშვნის ვადის გაშვებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებას, ხოლო არბიტრაჟის ფორმირების შემდეგ - არბიტრაჟს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების (ან არბიტრაჟის) მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და იგი უნდა აღსრულდეს არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება(ებს) აქვს (აქვთ) სავალდებულო იურიდიული ძალა მხარის მიერ მის ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. თუ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებით ან/და კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება ენიჭება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან და არ არის აუცილებელი შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს.
- 13.15 მხარეები თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და სასამართლოს ან/და მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და მათსა და არბიტრებს შორის წარმოებს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით (ელექტრონული ფორმით). მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთის ბანკის მიერ ცალმხრივად გაზრდის შესახებ განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ სასამართლომ ან არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, მისთვის სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმისწარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების) / საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული

ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით განთავსებული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით) მისთვის ჩაბარებულად ითვლება.

- 13.16 ბანკს უფლება აქვს მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე ან/და ასეთ დოკუმენტ(ებ)თან დაკავშირებით წარმოშობილი ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადადამდგარი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების გზით.
- 13.17 კლიენტს არ აქვს ამ ხელშეკრულებით ან/და ამ ხელშეკრულების საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების ან/და ვალდებულების მესამე პირისთვის გადაცემის უფლება ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.